საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო – პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 ოქტომბერი

მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

8 ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულ და კარგად ადმინისტრირებულ გარემოში გაიმართა, სადაც ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო. თუმცა კამპანიის მშვიდ და ღია ატმოსფეროზე ზეგავლენა მოახდინა ბრალდებებმა უკანონო აგიტაციის შესახებ და ძალადობის რამდენიმე შემთხვევამ. საარჩევნო ადმინისტრაციის და ამომრჩეველთა სიების მენეჯმენტის მიმართ ნდობა არსებობდა. მედია პლურალისტულია, მაგრამ მონიტორინგში მონაწილე ზოგიერთი მაუწყებლის კამპანიის გაშუქება ნაკლებად დაბალანსებული იყო. დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს თავიანთი შეხედულებების წარმოსაჩენად ხელსაყრელი პლატფორმა შესთავაზა. კენჭისყრა მოწესრიგებულად გაიმართა, მაგრამ ხმების დათვლა უფრო უარყოფითად შეფასდა, პროცედურული პრობლემების და მომატებული დაძაბულობების გამო.

საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების გამართვას განაპირობებს. საარჩევნო კანონში გვიან შეტანილმა ცვლილებებმა საარჩევნო საქმიანობასა და კამპანიაზე ზეგავლენა მოახდინა. კანონის ბოლო ცვლილებებმა ასევე ოლქის ახალი საზღვრების გავლება მოიტანა შედეგად, საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების გამართვას განაპირობებს. საარჩევნო კანონში გვიან შეტანილმა ცვლილებებმა საარჩევნო საქმიანობასა და კამპანიაზე ზეგავლენა მოახდინა. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე გამოიწვია ოლქების ახალი საზღვრების დადგენა, რომლის მიზანიც იყო ამომრჩეველთა მეტი თანაწორობის პრინციპის უზრუნველყოფა, როგორც ეს ადრე იყო რეკომენდებული. თუმცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადახრა მაინც სახეზეა, საკანონმდებლო ცვილილებებმა ვერც საკმარისი პარამეტრები უზრუნველყო საზღვრების დასადგენად და არც პროცედურები დაუდგენია სამომავლო გადასინჯვისთვის.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) ხელმძღვანელობით, საარჩევნო ადმინისტრაცია დროულად და პროფესიონალურად მუშაობდა და ცესკომ საარჩევნო პროცესებში ჩართული არჩევნებში მონაწილე მხარეების მხრიდან მაღალი ნდობა დაიმსახურა. საარჩევნო კომისიის წევრების ნახევარზე მეტი პოლიტიკური პარტიების მიერ დაინიშნა. ბრალდებები, რომ კომისიებმა დანარჩენი, ქვედა დონის კომისიის წევრების დანიშვნისას ნაკლები ობიექტურობა გამოიჩნეს, მთელი კამპანიის განმავლობაში კეთდებოდა, ისმოდა, რაც ნაწილობრივ საკანონმდებლო ჩარჩოში მოცემული დისკრეციით იყო გამოწვეული.

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები ამომრჩევლებთა სიების სიზუსტის მიმართ უფრო მეტ ნდობას გამოხატავენ. საარჩევნო კომისიებმა ამომრჩევლებს სიებში საკუთარი ინფორმაციის გადასამოწმებლად მრავალი შესაძლებლობა შეუქმნეს. კანონში შეტანილმა

ცვლილებებმა რეგისტრაციის პროცედურები გაამარტივა იმ ამომრჩევლებისთვის, ვინც ადრე საარჩევნო უფლებით ვერ სარგებლობდა , რითაც ამომრჩეველთა სიების ინკლუზიურობა გააუმჯობესა, თუმცა, ძალიან გვიან განხორციელდა იმისათვის, რომ ბოლომდე ეფექტური ყოფილიყო.

პროპორციული კენჭისყრისთვის ოცდახუთი პარტია და ბლოკი, ხოლო მაჟორიტარად 816 კანდიდატი დარეგისტრირდა. თუმცა ამომრჩევლებს ბევრ საარჩევნო სუბიექტს შორის შეეძლოთ არჩევანის გაკეთება, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონმდებლობაში გვიან შეტანილმა ცვლილებებმა ზოგიერთი პარტიის რეგისტრაციასა და პროცესის ინკლუზიურობაზე ზეგავლენა მოახდინა. სახელმწიფო დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი ცხრა პარტიიდან შვიდმა დააკმაყოფილა არასავალდებულო გენდერული კვოტა თავიანთ სიაში და შესაბამისად ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების უფლება მოიპოვა. არჩევნებში სულ 143 ქალი მაჟორიტარი კანდიდატი მონაწილეობდა, აღნიშნეს დამკვირვებლებმა. არჩევნებში სულ 143 ქალი მაჟორიტარი კანდიდატი მონაწილეობდა.

კამპანია კონკურენტულ და საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, ცალკეული ძალადობრივი შემთხვევების მიუხედავად. მაშინ, როცა ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო და საარჩევნო სუბიექტებს კამპანიის საქმიანობის თავისუფლად განხორციელება შეეძლოთ, რამდენიმე პარტიამ კანდიდატებისა და კამპანიაში ჩართული პერსონალის მიმართ პოლიტიკური ზეწოლის ბრალდება გაახმოვანა. კამპანიის ტონი ორ წამყვან პარტიას შორის კონფრონტაციული იყო, რაც საარჩევნო ატმოსფეროზეც აისახა. კამპანიის დროს ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური დაცვა, ასევე თვალთვალის ამსახველი ჩანაწერების გავრცელება. ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას და კამპანიის უკანონოდ განხორციელების შემთხვევებს.

კამპანიის დაფინანსების რეგულაციებში შეტანილ ცვლილებებში მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფისგან (GRECO) მიღებული რეკომენდაციები, რაც გულისხმობდა უფრო ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ასევე, დარღვევების მიმართ პროპორციული და შემაკავებელი სანქციების შემოღებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელსაც პარტიის და კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობის წარმოება ევალება, 694 შემოწირულობის შემთხვევა გამოიძია და შვიდი შემომწირველის მიმართ სანქციები დააწესა. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ახალი პროცედურებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სასამართლოს ნებართვის მიღება მოეთხოვება თავისი გამოძიების წარმოებისთვის, კამპანიის დაფინანსების დარღვევებზე რეაგირება ხშირად დროულად არ ხდებოდა, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზედამხედველობის ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. პარტიების მიერ მოზიდული თანხების ოდენობა შესამჩნევად არათანაბარი იყო.

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მედიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად შესაფერის ჩარჩოს ქმნის. მედიაგარემოში საერთო პლურალიზმი გაუმჯობესებულია. მედიასაშუალებებს პოლარიზებულად მიიჩნევენ. საქართველოს

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულყოფილად არ გამოაქვეყნა თავისი მონიტორინგის შედეგები და არც დროული და ეფექტური რეაგირება მოუხდენია მათ მიერ გამოვლენილ დარღვევებზე. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულმა მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ მონიტორინგში ჩართულმა მაუწყებლებმა უფასო და ფასიან რეკლამებთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებები დააკმაყოფილეს, მაგრამ არ დაიცვეს კანონი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების შესახებ. დებატების მეშვეობით კანდიდატებს ინკლუზიური და პლურალისტური პლატფორმა შეუქმნეს თავიანთი შეხედულებების წარმოსადგენად, მაგრამ მონიტორინგში მონაწილე ზოგიერთმა მაუწყებელმა ახალი ამბები და საინფორმაციო გამოშვებები მიკერძოებულად გააშუქა.

საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის დავის დროულად მოგვარების პროცესს ადგენს, მაგრამ ამომრჩევლის მიერ გასაჩივრების უფლებას ზღუდავს, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს და კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. კამპანიის პერიოდში, საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში 187 სარჩელი შევიდა, რომლებიც გამჭვირვალედ, ღია სხდომებზე განიხილეს და მოსმენის შესახებ პარტიებს აცნობეს. აღნიშნული საშუალების ეფექტურობა შეზღუდულია, რადგანაც საარჩევნო დარღვევების მიმართ ადმინისტრაციული ქმედების განხორციელებისთვის დაჩქარებული ვადები არ არსებობს, გამოძიებისთვის არსებული რესურსები კი არასაკმარისია. არჩევნებში მონაწილე ბევრმა მხარემ სასამართლო სისტემის რეფორმის გაგრძელების საჭიროებაზე მიუთითა.

რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატები პარტიულ სიებში შეიყვანა, თუმცა, არაარჩევად პოზიციებზე, ასევე ისინი მაჟორიტარ კანდიდატებად დაასახელა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. აღნიშნულ ადგილებში კამპანია თავისუფლად და კონკურენტულ გარემოში წარიმართა, რაც უფრო თვალსაჩინოდ აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ხოლო უფრო ნაკლებად - სომხებით დასახლებულ ადგილებში იგრძნობოდა. ეჭვები წარმოიქმნა, რომ ზოგიერთ ოლქებში გავლებული ახალი საზღვრების გამო ეროვნულ უმცირესობებს შეიძლება წარმომადგენლობის შესაძლებლობა შეუმცირდეთ.

ინკლუზიური პროცესის გზით, ცესკომ 55 საერთაშორისო და 111 სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციას აკრედიტაცია მიანიჭა. საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე ბევრი მოქალაქე დამკვირვებლის მონაწილეობამ არჩევნების გამჭვირვალობაში წვლილი შეიტანა.

კენჭისყრის დღე, ზოგადად, მოწესრიგებულად გაიმართა, მაგრამ დღის განმავლობაში დაძაბულობამ მოიმატა და საარჩევნო უბნების შიგნით და მათ გარეთ რამდენიმე ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა. გახსნა და კენჭისყრა დადებითად შეფასდა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე. რამდენიმე საარჩევნო უბანზე პროცესი უარყოფითად შეფასდა, რაც ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში არაუფლებამოსილი პირები ჩაერივნენ. ხმების დათვლის პროცესი გაცილებით უარესად შეფასდა როგორც პროცედურული პრობლემების, ასევე მომატებული დაძაბულობის გამო. საოლქო საარჩევნო უბნებში ხმების დაჯამება უფრო დადებითად

შეფასდა. მნიშვნელოვანი რაოდენობის სამოქალაქო დამკვირვებლების და პარტიის წევრების დასწრებამ გამჭვირვალობა გაზარდა, მაგრამ უბნებზე ბევრი ხალხის დაგროვება გამოიწვია. ასევე, ისინი კომისიების მუშაობაში ხშირად ერეოდნენ.

წინასწარი მიგნებები

ზოგადი ინფორმაცია

5 ივნისს, პრეზიდენტმა პარლამენტის არჩევნების ჩატარების თარიღად 8 ოქტომბერი გამოაცხადა. ეს პირველი პარლამენტის არჩევნები იყო, რომელიც ისეთი ნახევრადსაპრეზიდენტო პოლიტიკური სისტემის ფარგლებში გაიმართა, სადაც პრეზიდენტის უფლებები პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ არის შეკვეცილი. საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული კომპონენტის გაუქმებაზე მიღწეული ფართო კონსენსუსის მიუხედავად, რაც არჩევნებამდე გაკეთდა სრულად პროპორციული სისტემის სასარგებლოდ, აღნიშნული რეფორმის მიღება 2016 წლის არჩევნების შემდეგი პერიოდისთვის გადაიდო.

არჩევნების მიმდინარეობას ფონად საზოგადოებრივი უკმაყოფილება გასდევდა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკით, პოლიტიკური ელიტით და ქვეყნის უწყვეტად ცუდი ეკონომიკური მდგომარეობით. არჩევნების კონტექსტზე ასევე ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმებულმა „ასოცირების შესახებ შეთანხმებამაც“ მოახდინა ზეგავლენა. დაძაბულობამ ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის პოლიტიკური გარემოს ყველა ასპექტში შეაღწია და არჩევნების ირგვლივ არსებული ატმოსფერო გააუარესა.

ბოლო პარლამენეტის არჩევნებში მმართველმა კოალიციამ, ქართული ოცნების ხელმძღვანელობით, 150-დან 85, ხოლო ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა ჯგუფმა, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - 65 მანდატი მოიპოვა. ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად,/ბოლოდროინდელი პოლიიკური მოვლენების განვითარების შედეგად მმართველი კოალიცია და საპარლამენტო პარტიები დაიშალა.[1] ქართულმა ოცნებამ და მისმა კოალიციურმა პარტნიორებმა არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღეს. ამ მოწვევის პარლამენტში ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილნი არიან 7 წევრით.[2]

საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

[1] 2012 წლის პარლამენტის არჩევნების შემდეგ, ქართული ოცნების ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიციიდან თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი და რესპუბლიკური პარტია გავიდა; პარტია ქართული ოცნება ოთხმა წევრმა დატოვა, რათა არჩევნებში მონაწილეობა ინდივიდუალურ კანდიდატებად მიეღოთ. ამჟამად, ქართულ ოცნებას მხარს უჭერს მაჟორიტარობის 12 დამოუკიდებელი კანდიდატი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და კონსერვატიული პარტია, რომელთაგან თითოეული ექვსი წევრით არის წარმოდგენილი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხმა წევრმა ახალი პარტია დააარსა - ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი.

[2] მათ შორის არის სამი სომეხი, სამი აზერბაიჯანელი და ერთი ოსი.

პარლამენტის 150 წევრი ოთხწლიანი ვადით აირჩევა შერეული საარჩევნო სისტემის მეშვეობით. აქედან, 77 წევრი დახურული სიით პროპორციული კომპონენტით აირჩევა მთელი საქართველოდან, ხოლო 73 კი - ერთმანდატიან ოლქებში. პარტიებმა და ბლოკებმა ხუთპროცენტიანი ბარიერი უნდა გადალახონ, რათა პროპორციული მანდატების მიღება შეძლონ. მაჟორიტარულ დაპირისპირებაში გამარჯვებისთვის, კანდიდატებმა ამომრჩევლების ხმათა 50 პროცენტზე მეტი უნდა მიიღონ. აღნიშნული ზღვარი ადრე 30 პროცენტს შეადგენდა და 2015 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გაიზარდა.

საკანონმდებლო ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების გამართვის წინაპირობას ქმნის, მაგრამ საარჩევნო კანონის ფუნდამენტურ ელემენტებში არჩევნების გამართვამდე ერთ წელზე ადრე ცვლილებების შეტანა კარგ საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება.[3] გვიან მიღებულმა ცვლილებებმა ამომრჩევლებს შორის დაბნეულობა გამოწვია იმის შესახებ, თუ სად უნდა მისცენ ხმა და ვინ არიან მათი კანდიდატები, რის გამოც საარჩევნო ადმინისტრაციას თავის მოქმედებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა დასჭირდა და რამაც ზოგიერთი მაჟორიტარი კანდიდატის კამპანიაზე ზეგავლენა მოახდინა. არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად 1995 წლის კონსტიტუცია და 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსი, (რომელშიც ბოლო ცვლილებები 2016 წლის ივნისში შევიდა), ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბრძანებები და განკარგულებები აწესრიგებს.[4]

საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2015 წელს შევიდა, რასაც ტექნიკური ხასიათის ცვლილებათა პაკეტი მოჰყვა, რომელიც 2016 წლის ივნისში მიიღეს.[5] 2015 წლის ბოლოს, ამომრჩეველთა მეტი თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფისა და

---

[3] სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) მიერ 2002 წელს მიღებული საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი (Council of Europe's European Commission for Democracy through Law (Venice Commission) Code of Good Practice in Electoral Matters) (კარგი პრაქტიკის კოდექსი) ითვალისწინებს, რომ საარჩევნო კანონის ფუნდამენტურ ელემენტებში, კონკრეტულად კი საარჩევნო სისტემის, საარჩევნო კომისიების წევრობის და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის მიმართ ცვლილებები არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ ვადაში არ უნდა შევიდეს.

[4] სხვა შესაბამის კანონებს შორისაა 1997 წლის კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი, 2008 წლის კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ. ცესკოს მიღებული აქვს 39 დადგენილება და 292 განკარგულება, ასევე ცესკოს თავმჯდომარეს გამოცემული აქვს 192 განკარგულება. ცესკოს თავმჯდომარის ხუთი განკარგულება სასამართლოში გასაჩივრდა, რომელთაგან ერთი დაკმაყოფილდა, დანარჩენები კი არა. ოთხი დადგენილება გასაჩივრდა, მაგრამ არც ერთი არ იქნა დაკმაყოფილებული.

[5] ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს შორის არის გარდამავალი დებულებები, რომლებიც ზოგიერთი კატეგორიის ამომრჩევლების რეგისტრაციის პირობებს ამარტივებს, რათა მათ რეგისტრაცია თავიანთ ფაქტობრივ, ან ადრე რეგისტრირებულ მისამართზე გაიარონ. სხვა შესწორებებით ამომრჩეველთა ის რაოდენობა განისაზღვრა, რაც საინიციატივო ჯგუფის დასარეგისტრირებლად არის აუცილებელი დამოუკიდებელი კანდიდატების დასახელების მხარდასაჭერად. ასევე შემცირდა საარჩევნო სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების ეთერში გამოყოფილი უფასო საეთერო დრო და პოლიციას უფლება მიეცა, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ძალადობის ასაცილებლად, ახლომდებარე საარჩევნო უბნების ახლო იმყოფებოდნენ, საარჩევნო უბანზე მომუშავე პირების მხრიდან გამოძახების გარეშე.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციების დაკმაყოფილების მიზნით, ერთმანდატიან ოლქებში საზღვრების დადგენის ახალი პროცედურები მიიღეს. ცვლილებებში გათვალისწინებული იყო ოლქების საზღვრების ხელახლა დადგენა ორეტაპიანი პროცესით, რის შედეგად 73 ერთმანდატიანი ოლქიდან 43 ოლქის საზღვარი დადგინდა და ცესკოს უფლება მიეცა, რომ დანარჩენი 30 ოლქის საზღვრები განესაზღვრა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ერთზე მეტი საარჩევნო ოლქი უნდა შექმნილიყო.

ცვლილებები არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პარამეტრებს ოლქის საზღვრების დასადგენად, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა, რეალური ამომრჩევლების რაოდენობა, ან რაიმე მექანიზმი უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიების შემთხვევაში. კანონი ასევე არ ადგენს კრიტერიუმებს იმის თაობაზე, თუ რამდენად დიდი გადახრა არის დასაშვები ამომრჩეველთა რაოდენობის თვალსაზრისით და საკმარისად არ აწესრიგებს სამომავლოდ საზღვრების გადასინჯვის საკითხს. ამას გარდა, ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან ყველაზე დიდი გადახრები მაინც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, ხოლო რამდენიმე ოლქი კავშირის პრინციპს არ აკმაყოფილებს.[6] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან გამართული შეხვედრების დროს საარჩევნო პროცესებში ჩართულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ საზღვრების დადგენის პროცესს სათანადო გამჭვირვალობა და შესაბამისი მონაწილე მხარეების ჩართულობა აკლდა.[7]

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნებს სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია მართავს: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისია.[8] ამ არჩევნებისთვის, 53-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ სრულად განახორციელა თავიანთი კანონით მინიჭებული ფუნქციები, ხოლო დანარჩენი 20 საოლქო საარჩევნო კომისია დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციას ასრულებდა.[9] თითოეული საარჩევნო კომისია 13 წევრისგან შედგება, რომელთაგან 7 წარდგენილია იმ პოლიტიკური პარტიების

---

[6] ამჟამად ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან ყველაზე დიდი გადახრა 25.4 პროცენტს შეადგენს.

[7] საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიმართ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ 2016 წლის 14 მარტს გამოცემულ ერთობლივ დასკვნაში (OSCE/ODIHR and Venice Commission Joint Opinion on Amendments to the Election Code of Georgia, 14 March 2016) მითითებულია, რომ „საარჩევნო პროცესებში ჩართულმაბევრმა მხარემ ოლქების შექმნის საწყისი ეტაპები გააკრიტიკა, რადგანაც ამ პროცესს გამჭვირვალობა, ობიექტურობა და აქტიური ჩართულობა აკლდა. შემოთავაზებული საზღვრების შესახებ გამართული კონსულტაციების მოგვიანებით ეტაპზე მხარეები აქტიურად არ იყვნენ ჩართულნი, რამაც პროცესის ინკლუზიურობა მეტად ეჭვქვეშ დააყენა“.

[8] ამას გარდა, სასჯელაღსრულების და სამედიცინო დაწესებულებებში 11 სპეციალური საარჩევნო უბანი გაიხსნა. იმ პირებისთვის, ვინც ხმას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აძლევს, 42 ქვეყანაში 57 საარჩევნო უბანი გაიხსნა.

[9] დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითადად ლოჯისტიკურ, ადმინისტრაციულ და საინფორმაციო მხარდაჭერას უწევდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგებს არ ითვლიდნენ.

მიერ, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ და წინა საპარლამენტოის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხმათა სულ მცირე, 3 პროცენტი მიიღეს.[10] ცესკოს დონეზე, დამატებით ხუთი წევრი პარლამენტის მიერ ინიშნება პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თავმჯდომარის შერჩევისთვის ცალკე პროცედურები არსებობს. ცესკოს სამი წევრი ქალია, თავმჯდომარის ჩათვლით. ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 62, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების 69 პროცენტს შეადგენენ. შერჩევისთვის ცალკე პროცედურები არსებობს.[11] ცესკოს სამი წევრი ქალია, თავმჯდომარის ჩათვლით. ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 62, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების 69 პროცენტს შეადგენენ.[12]

არჩევნების მართვა ყველა დონეზე დროულად და პროფესიონალურად მოხდა. ცესკო გამჭვირვალედ მოქმედებდა და თავის ვებგვერდზე მყისიერად აქვეყნებდა დადგენილებებს, განკარგულებებს, გადაწყვეტილებებს და სხდომების შედეგებს, ასევე რეგულარულად მართავდა ბრიფინგებს და შეხვედრებს საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან. ცესკოს ყველა სხდომა ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ამ პროცესის განმავლობაში, საარჩევნო პროცესის მონაწილე მხარეთა შორის ცესკოს მიმართ მაღალი ნდობა არსებობდა.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ცესკოს და, განსაკუთრებით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ ბრალდებები გამოითქვა, რომ მათ აკლდათ მიუკერძოებლობა ქვედა დონის კომისიის წევრები დანიშვნისას. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევისთვის დადგენილი სამართლებრივი კრიტერიუმები ბუნდოვანია და არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას ქმნის, რის გამოც პროცესის სხვადასხვა მონაწილე მხარეს გარკვეული ეჭვები გაუჩნდა.

საუბნო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდა და მათი პირველი სხდომა სამი ხელმძღვანელი პირის არჩევას დაეთმო (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი) დადგენილ ვადაში, 258 საუბნო საარჩევნო კომისიის გარდა, სადაც პირველი სხდომის თავიდან გამართვა და კომისიის წევრების ხელახლა არჩევა გახდა საჭირო. სამ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის პროცესი კანონის შესაბამისად გაიმართა. საუბნო საარჩევნო კომისიების უდიდეს უმრავლესობაში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული ხალხი შეირჩა.[13] თუმცა, 373 საარჩევნო უბანში, სადაც თავმჯდომარეებად პარტიის მიერ დანიშნული პირები აირჩიეს, შედეგების უმეტესობა - 300 დანიშვნა ქართული ოცნების სასარგებლოდ განხორციელდა, - შემდეგ მოდის კონსერვატიული პარტია - 30 დანიშვნა თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო - 25

[10] ყველაზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ეროვნული ფორუმი.

[11] პრეზიდენტი სამ კანდიდატს წარადგენს და შემდეგ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრები (იმ წევრის გამოკლებით, რომელიც იმ პარტიის მიერ არის დანიშნული, რომელმაც წინა პარლამენტის არჩევნებში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა) თავმჯდომარეს აირჩევენ. თუ ცესკოს წევრები თავმჯდომარეს განსაზღვრულ ვადამდე ვერ აირჩევენ, პარლამენტს შვიდი დღე აქვს მის ასარჩევად.

[12] ცესკოს მიერ მოწოდებული რაოდენობის მიხედვით.

[13] 3,634 საუბნო საარჩევნო კომისიიდან 3,261-ში.

დანიშვნა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 6 დანიშვნა, დემოკრატიული მოძრაობა - 6 დანიშვნა, რესპუბლიკური პარტია - 3 დანიშვნა და თავისუფალი დემოკრატები - 3 დანიშვნა.[14]

ცესკო საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ვრცელი ტრენინგები გამართა სამ ეტაპად. ტრენინგების სესია, რომლებსაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია აკვირდებოდა, ზოგადად, კარგი დასწრებით გამოირჩეოდა და პროფესიონალურად, ასევე ინტერაქტიულად იმართებოდა. ამას გარდა, ცენტრი წარმატებით აწყობდა ტრენინგებს არჩევნებთან დაკავშირებულ თემებზე საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვადასხვა მხარეებისთვის, რომელთა შორის იყვნენ მედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალური პირები, პოტენციური ქალი კანდიდატები, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და საზოგადოებრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები.

ხელისუფლების შეთანხმებული ძალისხმევა გამოიჩინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ცესკომ გამოაცხადა, რომ 1,115 საარჩევნო უბანზე შესვლა დაბრკოლებების გარეშე შეიძლებოდა და დამონტაჟებული იყო სპეციალური ჯიხურები ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ამას გარდა, ყველა საარჩევნო უბანზე არსებობდა გამადიდებელი ლინზა ფურცლები და ჩარჩო ფორმები მხედველობის პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის.

ცესკოს ამომრჩევლების საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანია კარგად მომზადებული და ყოვლისმომცველი იყო. აღნიშნული კამპანიის დროს გამოყენებული იყო ბანერები, ნაბეჭდი მასალა, ვიდეოები და ინტერნეტმასალები. ვიდეოები შეიცავდა გზავნილებს საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის შესახებ დახელმისაწვდომი იყო უმცირესობების და ჟესტურ ენებზე დაკერძო ტელევიზიების, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემოდა.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

საქართველოში ამომრჩევლების რეგისტრაციის პასიური სისტემა არსებობს. ხმის უფლებით 18 წელს მიღწეული მოქალაქეები სარგებლობენ, იმ პატიმრების გარდა, ვისაც თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. 2015 წლის მარტში, ქმედუუნაროდ აღიარებულ ადამიანებსაც მიეცათ ხმის მიცემის უფლება.[15] ცესკოს

[14] თავმჯდომარის მოადგილეები: საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული თანამშრომლები - 2,934, ქართული ოცნებიდან – 470, კონსერვატიული პარტიიდან – 86, თოფაძე - მრეწველების, ჩვენი სამშობლოდან – 51, რესპუბლიკური პარტიიდან – 32, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – 23, თავისუფალი დემოკრატებიდან – 19, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობიდან – 14. მდივნები: საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული თანამშრომლები – 3,075, ქართული ოცნებიდან – 241, კონსერვატიული პარტიიდან – 118, თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლოდან – 94, რესპუბლიკური პარტიიდან – 40, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – 13, თავისუფალი დემოკრატებიდან – 32, დემოკრატიული მოძრაობიდან – 21.

[15] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 ოქტომბერს არაქმედუნარიანად აღიარებული პირების მიმართ გამოტანილი #2/4/532,533 გადაწყვეტილების თანახმად.

ვალდებულებაში შედის ამომრჩეველთა სიების შედგენა, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე.[16]

3,720,400 მოქალაქიდან, საბოლოო ამომრჩეველთა სიებში 3,513,882 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.[17] საზღვარგარეთ დაახლოებით 49,700 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით, ამომრჩეველთა სიები სათანადოდ იყო გამოკრული საარჩევნო უბნებში 8 სექტემბრიდან საზოგადოების მხრიდან შემოწმების მიზნით, ხოლო დამატებების და შესწორებების შეტანა 22 სექტემბრამდე შეიძლებოდა. ამას გარდა, ამომრჩევლებს არაერთი სხვა გზითაც შეეძლოთ ამომრჩეველთა სიებში თავიანთი მონაცემების შემოწმება, ცესკოს ვებგვერდზე, მობილური ტელეფონებით და სპეციალური აპლიკაციით, აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით განთავსებული სწრაფი გადახდის 7,000 ტერმინალის მეშვეობით. ცესკოს ინფორმაციით, ივნისსა და სექტემბერში აღნიშნული სამი მეთოდით საკუთარი მონაცემები 950,000-მა ამომრჩეველმა გადაამოწმა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სახელმწიფო რეესტრში ბიომეტრული მონაცემები შეჰყავს.[18] საარჩევნო სიებში შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით კარდაკარ შემოწმებაც განხორციელდა და სახის ამომცნობი პროგრამა გამოიყენება დუბლირებული ჩანაწერების გასასწორებლად. ამას გარდა, ამომრჩეველთა სიებში ამომრჩევლის ფოტოსურათიც შედის, რაც, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის რესპოდენტების თანახმად, საზოგადოებამ საკმაოდ კარგად მიიღო. ზოგადი დაკვირვების შედეგად, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის მიმართ ნდობა გაზრდილია.

12 ივლისს ძალაში შესული შესწორებებით, არაოფიციალური ად რეგისტრირებული მისამართის არმქონე ან სათანადო დოკუმენტების გარეშე მყოფ ამომრჩევლებს შესაძლებლობა შეექმნათ, რომ რეგისტრაცია გაევლოთ და ამომრჩეველთა სიებში მათი მონაცემები შეტანილი ყოფილიყო წინა საცხოვრებელი ან ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით 1 აგვისტომდე. ხელისუფლების მიზანი იყო, რომ ამით ჩართულობა გაზრდილიყო, მაგრამ ეს მოცემული ვადა არასაკმარისი აღმოჩნდა. ხანმოკლე პერიოდის გათვალისწინებით, ცესკომ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლის საფუძველზეც აღნიშნული კატეგორიის ამომრჩევლების რეგისტრაცია 22 სექტემბრამდე გაგრძელდადაიდო. ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ადრე ამომრჩეველთა სიებიდან ამოღებული 62,362 ამომრჩეველი სიაში ისევ იქნა შეყვანილი აღნიშნული ცვლილებების შედეგად

---

16 თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმართველი ორგანოები და უზენაესი სასამართლო.

17 მოსახლეობის მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით.

18 ამჟამად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2,400,000 ამომრჩევლის ბიომეტრული მონაცემები გააჩნია.

კანდიდატების რეგისტრაცია

პასიური საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობა საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ვისაც შეუსრულდა 21 წელი და ვინც სახელმწიფო ენას ფლობს.[19] არ შეიძლება აირჩეს ის მოქალაქეები, ვისაც უკანასნკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია და ამ დროის განმავლობაში არ დამდგარა საკონსულო აღრიცხვაზე საზღვარგარეთ. იგივე შეზღუდვა ვრცელდება სავარაუდოდ ნარკოტიკების მომხმარებელ ან წამალდამოკიდებულ პირებზე. ენასა და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული შეზღუდვები არაპროპორციულია და არჩევნების შემდეგ იმ პირების სავარაუდო დისკვალიფიკაცია, ვისაც ნარკოტიკული შემოწმების შედეგად დადებითი პასუხი დაუფიქსირდათ, ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.9-ე პუნქტს ეწინააღმდეგება.[20] კონკრეტულ საჯარო მოხელეებს დაკავებული თანამდებობებიდან გადადგომა მოეთხოვებათ, რათა არჩევნებში კენჭი იყარონ.

ცესკომ პროპორციული სიით კენჭისყრისთვის 25 პარტიის კანდიდატთა სია დაარეგისტრირა პროპორციული კენჭისყრისთვის, რომელთაგან 19 პარტია დამოუკიდებლად იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ხოლო 16 პარტია 6 საარჩევნო ბლოკად არის გაერთიანებული.[21] აუცილებელია, რომ პარტიებმა ჯერ რეგისტრაცია ცესკოში გაიარონ, როგორც საარჩევნო სუბიექტებმა, რათა თავიანთი კანდიდატების სიების რეგისტრაციისთვის განაცხადის შეტანა შეძლონ. 64 პარტიიდან/ბლოკიდან, რომლებმაც წინასწარი რეგისტრაციისთვის განაცხადი შემოიტანეს, 26-ს უარი ეთქვა, ან მათი რეგისტრაცია მოგვიანებით გაბათილდა, ძირითადად იმის გამო, რომ მათ საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა ვერ შესძლეს.

ზოგიერთი პარტიის საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციაზე ზეგავლენა მოახდინა 2016 წლის მაისში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში“ შეტანილმა შესწორებებმა, რომლებიც ძალაში წინასაარჩევნო პერიოდში, 20 ივნისს შევიდა.

---

19 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ქობულეთის #81 საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი შეიტანა და მოგვიანებით ცესკოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. აღნიშნულ სარჩელში მითითებული იყო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონი დაარღვია, როცა კანდიდატად ისეთი პირი დაარეგისტრირა, ვინც ქართულ ენას არ ფლობდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ძალაში დარჩა.

20 ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.3-ე პუნქტის მიხედვით, მონაწილე მხარეები „უზრუნველყოფენ არჩევანის საყოველთაო და თანასწორუფლებიანობის პრინციპს სრულწლოვანი მოქალაქეებისთვის,“ ხოლო 24-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვა აუცილებლად „მკაცრად პროპორციული უნდა იყოს კანონის მიზანთან.“ ასევე იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მიმართ გაკეთებული #25 ზოგადი კომენტარის მე-14 პუნქტი, ასევე „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ ნაწილი I.1.1.1.d.iii. ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა „უნდა უზრუნველყონ, რომ კანდიდატები, ვინც კანონით გათვალისწინებულ ხმათა აუცილებელ რაოდენობას მოიპოვებენ, თანამდებობა შესაბამისად დაიკავონ“.

21 პარტიებს, რომლებიც წინა პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილი და ვინც ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლება მოიპოვეს, 1,000 ხოლო სხვებს - 25,000 ხელმოწერა უნდა შეეგროვებინათ საარჩევნო სუბიექტად დასარეგისტრირებლად.

აღნიშნული ცვლილებებით წარმოდგენილია ახალი მოთხოვნა, რომ პარტიის შესახებ მონაცემები საჯარო რეესტრში ამ ცვლილებების შეტანიდან 10 დღეში განახლდეს, აგრეთვე აუცილებელია ნოტარიუსის დასწრება ყველა საერთო სხდომაზე. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ცესკომ „ცენტრისტების“ და „კვარაცხელია-სოციალისტების“ პარტიების, როგორც საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია გააუქმა. „ცენტრისტების“ პარტიის შემთხვევაში, მკაფიო ინდიკატორები მიუთითებს, რომ ახალი მოთხოვნები შესაბამისი უწყებების მიერ შემოღებული იქნა შერჩევით და, სავარაუდოდ, პოლიტიკურად იყო მოტივირებული.[22] ამგვარად, გვიან მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და ცესკოსა და საჯარო რეესტრს შორის ოფიციალური და ეფექტიანი საკომუნიკაციო მექანიზმის არარსებობამ კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის ინკლუზიურობაზე მოახდინა გავლენა.

სულ არჩევნებში 869 მაჟორიტარმა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა, 53 დამოუკიდებელი კანდიდატის ჩათვლით. მაჟორიტარული კენჭისყრისთვის კანდიდატები პარტიებს, ბლოკებს უნდა დაესახელებინათ, ან მათ დამოუკიდებლად შეეძლოთ მონაწილეობა, თუ მათი წარდგენა სულ მცირე, ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მიერ მოხდებოდა. ოცდაშვიდი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია გაუქმდა, რადგანაც მათ აუცილებელი დოკუმენტაცია არ წარმოადგინეს, ან ნებაყოფლობით შეწყვიტეს მონაწილეობა. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ დამოუკიდებელ კანდიდატებს ოლქში რეგისტრირებული და მათი მხარდამჭერი ამომრჩევლების სულ მცირე, ერთი პროცენტის ხელმოწერები უნდა წარედგინათ. ეს მოთხოვნა არ ეხებოდათ დამოუკიდებელ კანდიდატებს, ვინც წინა პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვეს.

სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე ცხრა პარტიიდან, შვიდმა ნებაყოფლობითი კვოტა დააკმაყოფილა, რომ თავიანთ სიაში ნაკლებად წარმოდგენილი სქესის კანდიდატების სულ მცირე, 30% ყოველ 10 კანდიდატს შორის შეეყვანათ, რითაც მათ ბიუჯეტიდან დამატებით 30%-იანი დაფინანსების უფლება მოიპოვეს.[23] აღნიშნული სტიმულით წახალისებული იყო ქალთა მონაწილეობა პროპორციულ კენჭისყრაში, მაგრამ ეს მაჟორიტარულ კომპონენტს არ ეხებოდა. პროპორციული სიით რეგისტრირებულ კანდიდატთა (სულ 3,254) შორის 1,304 ქალი იყო წარმოდგენილი,ხოლო მაჟორიტარულ სისტემაში - 143 .

კამპანიის გარემო

კამპანია ოფიციალურად 8 ივნისს დაიწყო, როცა კენჭისყრის დღე დაინიშნა. კამპანია კონკურენტულ და საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, ცალკეული ძალადობრივი

---

[22] 13 აგვისტოს ეთერში პარტიის წინააღმდეგობრივი პოლიტიკური რეკლამა გავიდა, ხოლო 15 აგვისტოს საჯარო რეესტრმა თავის ვებგვერდზე ინფორმაცია გამოაქვეყნა ამ პარტიის რეგისტრაციის სტატუსის შესახებ და ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გაუგზავნა, რაც, რეესტრის განცხადებით, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

[23] პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილეს, არის: ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, თავისუფალი დემოკრატები, მშრომელთა სოციალისტური პარტია, რესპუბლიკური პარტია და მემარცხენე ალიანსი.

შემთხვევების მიუხედავად, პარლამენტარის მანქანის აფეთქების ჩათვლით.[24] კამპანიის ღონისძიებები უფრო ინტენსიური და თვალსაჩინო გახდა მთელი ქვეყნის მასშტაბით კენჭისყრის დღემდე ორი კვირით ადრე. მაშინ, როცა ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო კამპანიის განმავლობაში და მონაწილეებს კამპანიის თავისუფლად განხორციელება შეეძლოთ, რამდენიმე პარტიამ კანდიდატებისა და კამპანიაში ჩართული პერსონალის მიმართ პოლიტიკური ზეწოლის ბრალდება გაახმოვანა ადგილობრივი ხელისუფლებების, პოლიციის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე ოფიციალური საჩივარი იქნა შეტანილი და მათზე გამოძიება მიმდინარეობს.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის კამპანიის ტონი კონფრონტაციული იყო და ეს ორი პარტია სიტუაციის გამწვავებაში ერთმანეთს ადანაშაულებდა.[25] ფარული თვალთვალის ამსახველი ჩანაწერების ამ პერიოდში გავრცელებას შეეძლო უარყოფითად ემოქმედა შესაბამისი კანდიდატების იმიჯსა და რეპუტაციაზე და კამპანიის ატმოსფეროც დაეზიანებინა.[26] კამპანიაში დომინირებდა ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ხოლო თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, და რამდენიმე დამოუკიდებელი კანდიდატი შედარებით ნაკლებად იყო წარმოჩენილი.

კამპანიის უმეტესი ნაწილი მედიის საშუალებით და ბილბორდების, პოსტერების, კარდაკარ აგიტაციის, საზოგადოებასთან შეხვედრების და ძირითადად მცირემასშტაბიანი მიტინგების გზით იმართებოდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია 53 აქციას და ამომრჩევლებთან შეხვედრას დააკვირდა. რამდენიმე პარტია კამპანიას სოციალური მედიის და ინტერნეტის საშუალებით აწარმოებდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედიამონიტორინგის თანახმად, ქართულმა ოცნებამ მთლიანი ფასიანი რეკლამის 75

---

[24] 16 სექტემბერს, სოფელ გამარჯვებაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიის აქტივისტებს თავს დაესხნენ და გამოძიება დაიწყო; 28 სექტემბერს, მარნეულში, პარტიის სახელმწიფო ხალხისთვის კანდიდატი სავარაუდოდ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ნათესავებმა სცემეს. 1 ოქტომბერს დიდინეძში ქართული ოცნების სამი აქტივისტს სავარაუდოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. 2 ოქტომბერს, გორში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას ორი გასროლა განხორციელდა დამოუკიდებელი კანდიდატის, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართულებით, რის შედეგად მისი დაცვის თანამშრომელი და კამპანიის აქტივისტი დაიჭრნენ. 4 ოქტომბერს, თბილისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტარის მანქანა ააფეთქეს, რის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა და ამ საქმეზე ახლა გამოძიება მიმდინარეობს.

[25] 14 სექტემბერს, პრემიერ მინისტრმა და ქართული ოცნების თავმჯდომარემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში სიტუაციის რადიკალიზაციაში დაადანაშაულა. იმავე დღეს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა ქართულ ოცნებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრების მუდმივ დაშინებასა და მათზე ზეწოლაში ბრალი დასდო.

[26] 13 სექტემბერს ფარული თვალთვალის ამსახველი ჩანაწერები გავრცელდა, სადაც პაატა ბურჭულაძეს, სახელმწიფო ხალხისთვის პარტიის თავმჯდომარესა და ტელეკომპანია *რუსთავი 2-ის* დირექტორს შორის პირადი საუბარი იყო მოცემული. 26 სექტემბერს საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის თანამდებობის პირებსა და კანდიდატებს შორის რამდენიმე საუბრის ჩანაწერი გავრცელდა.

პროცენტი შეიძინა მონიტორინგში ჩართულ სატელევიზიო არხებზე, რომელსაც სახელმწიფო ხალხისთვის მოჰყვებოდა 17 პროცენტით. საარჩევნო სუბიექტები ისეთ აქტუალურ საკითხებს განიხილავდნენ, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური დაცვა.

ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა შეხვედრების დროს დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება, რომ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების წინააღმდეგ იბრძოლებდნენ და კამპანიის განხორციელების მშვიდ ატმოსფეროს შეინარჩუნებდნენ. თუმცა, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ბევრი ბრალდება მოისმინა ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე აღინიშნა, რომ ადგილობრივ საჯარო მოხელეებსა და მასწავლებლებს აიძულებდნენ ქართული ოცნების კამპანიის ღონისძიებებს დასწრებოდნენ.[27] ამას გარდა, ზოგ შემთხვევაში, ქართული ოცნების კანდიდატებმა ოფიციალური საჯარო ღონისძიებები გამოიყენეს კამპანიის მიზნით, რამაც ეჭვები წარმოშვა სახელმწიფოსა და პარტიას შორის გამყოფი ზღვარის ბუნდოვანების შესახებ, რაც ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 5.4-ე პუნქტს ეწინააღმდეგება.[28]

კანონი კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე მუნიციპალურ ბიუჯეტებში ცვლილების შეტანას კრძალავს. შეხვედრების დროს რამდენიმე მხარემ, არჩევნებში მონაწილე პირების ჩათვლით, პრეტენზია გამოთქვა, რომ მთავრობამ საბიუჯეტო თანხების ხელახალი ასიგნება ზუსტად ბოლო ვადის წინ განახორციელა, რათა კამპანიის ეფექტი ოპტიმალური ყოფილიყო და შემდეგ ინფრასტრუქტურის და განახლების დასრულებული პროექტები ამომრჩევლებისთვის წარედგინათ კენჭისყრის დღემდე ცოტა ხნით ადრე. ეს კი არჩევნების განმავლობაში კანდიდატების თანასწორობის მიმართ ეჭვებს ბადებს.[29]

მაშინ, როცა კანონი კონკრეტული საჯარო მოხელის კამპანიაში მონაწილეობას კრძალავს სამუშაო სააათებში, დებულებები ამ პირებს ნებას რთავს, რომ კამპანიაში მონაწილეობის მიზნით შვებულებაში გავიდნენ, რისი შემთხვევაც რამდენჯერმე დაფიქსირდა

---

27 მაგალითად, 12 სექტემბერს, ზესტაფონში, მასწავლებლები დააშინეს, რათა ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიის ღონისძიებას არ დასწრებოდნენ. 9 სექტემბერს, გურჯაანში, ბაღის მასწავლებლებს სთხოვეს, რომ ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატის კამპანიის შეხვედრას დასწრებოდნენ.

28 ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის (1990 OSCE Copenhagen Document) 5.4 პუნქტი მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ცხადად იყოს გამიჯნული“. მაგალითად, 23 აგვისტოს, ჭიათურაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ქართული ოცნების მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად, სახანძრო გახსნა. 20 სექტემბერს, ხრეითში, ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატი მუნიციპალიტეტის მიერ ორანიზებულ მუზეუმის გახსნას დაესწრო და კამპანია გამართა. ასევე იხილეთ „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი გაიდლაინები საარჩევნო პროცესების განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის“ 2016 წლის დოკუმენტის პუნქტი II.B1.3.

29 მაგალითად, 27 სექტემბერს, ბათუმის მუნიციპალიტეტმა ცვლილებები შეიტანა ადგილობრივ ბიუჯეტში, ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად მაშინ, როცა საარჩევნო კოდექსის 49.3 მუხლი იმ პროექტების განხორციელბას კრძალავს, რომლებიც ბიუჯეტში კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე არ იყო გათვალისწინებული.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ კამპანიასთან დაკავშირებული შეხვედრების დროს. კამპანიაში მონაწილეობა ასევე ეკრძალებათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს; თუმცა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ახლა უკრაინის მოქალაქეა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის კამპანიას ახორციელებდა.[30]

რამდენიმე ტერიტორიაზე დაფიქსირდა, რომ კანდიდატებს სააგიტაციო მასალების განთავსებაში ხელი შეუშალეს და კამპანიის ოფისები დააზიანეს.[31] კამპანიასთან დაკავშირებული შემთხვევების დიდი უმრავლესობა, რის შესახებაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას შეატყობინეს, კამპანიის პოსტერების და ბილბორდების ვანდალურად დარბევას უკავშირდებოდა.[32]

კამპანიის დაფინანსება

2013, 2014 და 2016 წელს შეტანილი ცვილებების შედეგად, კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელ კანონმდებლობას რამდენიმე დებულება დაემატა, რომელთა მიხედვით კონკრეტული დარღვევებისთვის დაწესებული სანქციები შემცირდა, ნებადართული შემოწირულობების ტიპები დადგინდა, სახელმწიფო დაფინანსება იქნა გამოყოფილი სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის და რეგულაციები დაემატა დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებით. მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფისგან (GRECO) ადრე მიღებული მთელი რიგი რეკომენდაციებისა, რაც გულისხმობდა უფრო ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ყველა ტიპის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენების პრევენციას და პროპორციული და შემაკავებელი სანქციების შემოღებას ყველა დარღვევისთვის.[33] მაჟორიტარულ კანდიდატებს შორის სახელმწიფო დაფინანსებაზე ხელი მხოლოდ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ პირებს მიუწვდებათ.

---

[30] 25 სექტემბერს, ბათუმში, ვიდეოგზავნილის მეშვეობით მიხეილ სააკაშვილმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აუდიტორიის წინაშე წარადგინა. 26 სექტემბერს, ზუგდიდში, მიხეილ სააკაშვილი ვიდეომიმართვით გამოვიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიტინგზე. ამის შედეგად, სამოქალაქო ორგანიზაციების სადამკვირვებლო ჯგუფმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

[31] მაგალითად, 11 აგვისტოს, დედოფლისწყაროში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისი დაზიანეს; 2 სექტემბერს, თბილისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ოფისი დაარბიეს; 19 სექტემბერს, საბურთალოზე, ქართული ოცნების ოფისში სამი პირი შეიჭრა. გარდაბანში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბილბორდი ჩამოხსნეს და ქართული ოცნების ბილბორდით ჩაანაცვლეს იმავე შენობაზე. რუსთავში, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას საშუალება არ მისცეს, რომ მთავარ ქუჩაზე დიდი ბილბორდი დაექირავებინა.

[32] მაგალითად, ახალციხეში, დედოფლისწყაროში, ხელვაჩაურში, ქვემო ბოლნისში, ასევე მრავალ ადგილას აჭარისა და გურიის რეგიონში. 28 სექტემბრის მდგომარეობით, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი იყო სააგიტაციო მასალების დაზიანების 23 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 20-ის მიმართ გამოძიება მიმდინარეობს.

[33] ასევე იხილეთ იხილეთ ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მეორე შესაბამისობის 2015 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ (2015 GRECO Second Compliance Report on Georgia)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით, საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობამ წარადგინა აქვს შემოსავლების და ხარჯების ანგარიში კანონით გათვალისწინებულ ვადებში, 5 პარტიის და 18 დამოუკიდებელი კანდიდატის გარდა. სანქციების დაწესებამდე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რომელიც ზედამხედველი ორგანოა, აღნიშნულ სუბექტებს შეტყობინება გაუგზავნა და დამატებითი დრო მისცა აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაშინ, როცა კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ანგარიშების განხილვის ბოლო ვადას არ უწესებს, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ზოგიერთი მიღებული ანგარიში შეამოწმა, რომლებსაც თავის ვებგვერდზე ყოველ სამ კვირაში ერთხელ განათავსებდა უფრო მეტი გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, შემოწირულობების გადამოწმების და თანხების წარმოშობის დადგენის მიზნით, 694 შემომწირველის საქმე განიხილა, რომელთაგან უმეტესობამ თანხა ქართულ ოცნებას შეწირა.[34] კამპანიის პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სამი პარტია და ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი დააჯარიმა, რადგან მათ დადგენილ ვადაში ფინანსური ანგარიშები არ წარმოადგინეს. უკანონო შემოწირულობებისთვის ასევე შვიდი შემომწირველი დააჯარიმა.[35] ამას გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 43 საჩივარი მიიღო კამპანიის დაფინანსების სხვადასხვა დარღვევებთან, ხოლო 28 - ამომრჩევლების მოსყიდვებთან დაკავშირებით.[36] აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოძიებას აწარმოებს. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ახალი პროცედურები, რითაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სასამართლოდან ნებართვების მოპოვება მოეთხოვება, გამოძიებებს აჭიანურებს და რამდენადაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის არ არის დადგენილი დაჩქარებული სამართლებრივი ვადა კამპანიის დაფინანსების დარღვევებზე რეაგირებისთვის, მათი უმეტესობა კენჭისყრის დღის შემდეგ იქნება განხილული. ამან კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობის ეფექტურობა შეასუსტა.

8 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე, პარტიების და ბლოკების დეკლარაციების თანახმად, მათ შემოწირულობების სახით სულ მიღებული ჰქონდათ 22,874,725 ლარი (დაახლოებით 8,752,830 ევრო) 1,770 შემომწირველისგან, 17 პარტიის და ბლოკის, ასევე 22 დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ.[37] სადამკვირვებლო პერიოდის

---

[34] მაგალითად, 694 გამოკითხული შემომწირველიდან (იურიდიული პირების ჩათვლით), შემოწირულობების რაოდენობა შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 444 - ქართული ოცნება, 133 - სახელმწიფო ხალხისთვის, 40 - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 38 - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, 18 - თავისუფალი დემოკრატები, 8 – დემოკრატიული მოძრაობა, 8 - მრეწველები - ჩვენი სამშობლო, 4 - ეროვნული ფორუმი, 1 - ქართული დასი.

[35] ჩვენი სამშობლო, ქართული იდეა, სახალხო პარტია და დამოუკიდებელი კანდიდატი თამარ იარაჯული. დაჯარიმებული შვიდი შემომწირველიდან, ოთხმა შეწირა პარტიას სახელმწიფო ხალხისთვის, ორმა - ქართულ ოცნებას, ხოლო ერთმა - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს.

[36] 43 საჩივრიდან აღმოჩნდა, რომ 9 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განსჯადობაში არ შედიოდა, 2 სასამართლოში გადაიგზავნა სანქციის შეფარდებისთვის, ხოლო დანარჩენი საქმეების განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

[37] (1 ევრო დაახლოებით 2.55 ლარის ტოლია) საანგარიშო პერიოდში ყველაზე მაღალი შემოწირულობები შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა მიიღეს: ქართული ოცნება 15,059,230 ლარი;

განმავლობაში, კამპანიის საჭიროებების გამო მხოლოდ ქართულმა ოცნებამ აიღო სესხი (1 მილიონი ლარი) კომერციული ბანკიდან „ქართუ ბანკი“.[38] მაშინ, როცა ეს კამპანიის დაფინანსების რეგულაციების დარღვევას არ წარმოადგენს, დაინტერესებული მხარეების აზრით ეს შეუფერებელი ქმედებაა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ არ არსებობს არანაირი სპეციალური რეგულაცია სესხის პირობების შესახებ და სესხი შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნას გადახდილი, რისი მიღების უფლებაც ქართულ ოცნებას აქვს.[39] პარტიების მიერ მოზიდული თანხების ოდენობა შესამჩნევად არათანაბარი იყო.

მასმედია

საქართველოში ბევრი მედიასაშუალება და აქტიური მედიაგარემო არსებობს. ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიაა, ხოლო ბეჭდური მედიის ტირაჟი მცირეა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან გამართულ შეხვედრებზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ 2012 წლის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესებულია მედიაგარემოს საერთო პლურალიზმის ჭრილში, ბოლო პერიოდში კი ონლაინ მედიის მზარდი წვლილის გამო. თუმცა, მედიასაშუალებები, განსაკუთრებით კი სამაუწყებლო მედია, ხშირად პოლარიზებულად მიიჩნევა პოლიტიკური თვალსაზრისით.

მედიის შესახებ კანონმდებლობა გონივრულ ფარგლებს ქმნის მედიის თავისუფლებისთვის. კონსტიტუციით გარანტირებულია სიტყვის და პრესის თავისუფლება, ასევე აკრძალულია ცენზურა. ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობაში არსებული დებულებები საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. თუმცა, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სასამართლოს ქმედებებმა *ტელეკომპანია რუსთავი 2-ის* მფლობელობის საქმესთან დაკავშირებით, ეჭვები წარმოშვა და რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოხსენიებულია როგორც მედიის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა.[40] ამჟამად სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვამ ზეგავლენა არ მოახდინა *რუსთავი 2-ის* შესაძლებლობაზე არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ხალხისთვის – 4,558,555 ლარი; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 1,271,485 ლარი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 998,833 ლარი; თავისუფალი დემოკრატები - 421,690 ლარი; დემოკრატიული მოძრაობა – 177,661 ლარი; თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო – 130,910 ლარი; ეროვნული ფორუმი - 93,937 ლარი. 1,350 შემომწირველისგან 31 იურიდიული პირია.

38 ბანკი, სავარაუდოდ, ყოფილ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილთანაა დაკავშირებული.

39 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანახმად, სესხებს ბანკები აწესრიგებს და სესხის დაფარვის პროცედურები შესაბამის კონტრაქტში გათვალისწინებული პროცედურების და პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

40 2015 წლის 5 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლო პირდაპირ ჩაერია მედიასაშუალების სარედაქციო დამოუკიდებლობაში, როცა მისი მმართველობა დროებით გადააყენა - სასამართლომ *რუსთავი 2*-ის გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი თანამდებობებიდან ჩამოაშორა. 2015 წლის 13 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედება შეაჩერა და 2016 წლის 30 სექტემბერს გადაწყვეტილება მიიღო, რითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 5 ნოემბერს განხორციელებული ქმედება არაკონსტიტუციურად სცნო. იხილეთ ასევე ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენლის 2015 წლის 6 ნოემბრის განცხადება აღნიშნულ საქმეზე (6 November 2015 OSCE Representative on Freedom of the Media statement on this case).

კანონი მაუწყებლობის შესახებ ადგენს, რომ როგორც საზოგადოებრივმა, ასევე კერძო მაუწყებლებმა ყველა შესაბამისი შეხედულების პლურალისტური და არადისკრიმინაციული გაშუქება უნდა უზრუნველყონ ახალი ამბების გამოშვებებში, ხოლო საარჩევნო კოდექსი დეტალურ დებულებებს შეიცავს უფასო და ფასიანი რეკლამების რეგულირებასთან დაკავშირებით საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების შესახებ. საარჩევნო კოდექსში ახლახან შესული ცვლილებებით, როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო მაუწყებლებზე სახელმწიფო დაფინანსების მიმღები ცხრა საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი უფასო საეთერო დროის ოდენობა შემცირდა და ყოველ სამ საათში 90 წამს არ აღემატება.[41] საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და აჭარის ტელევიზიამ, საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად, არაკვალიფიციურ სუბიექტებს თანაბარი, მაგრამ ძალიან მცირე საეთერო დრო შესთავაზა (10 წამი დღეში) და ეს შესაძლებლობა მხოლოდ ერთმა პარტიამ გამოიყენა.[42] ზოგადად, მედიასაშუალებებმა დაიცავეს კანონის დებულებები უფასო და ფასიანი რეკლამების შესახებ; თუმცა, მაუწყებლებმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესები არ დაიცვეს. ერთმა პარტიამ დაამზადა რეკლამა ანტითურქული და ქსენოფობიური შინაარსით, რომელიც რამდენიმე ტელეარხზე გადაიცემოდა.[43]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მედიაში გაშუქების სამართლებრივ დებულებებთან შესაბამისობას ზედამხედველობს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მედიამონიტორინგი განახორციელა და ოთხი ანგარიში გამოაქვეყნა, რომლებიც 8 ივნისიდან 22 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს.[44] თუმცა, აღნიშნულ ანგარიშებში სრულად არ იყო გადმოცემული მონიტორინგის შედეგები და კომისიამ კამპანიის განმავლობაში გამოვლენილი დარღვევების უმეტესობის მიმართ დროული და ეფექტური რეაგირება არ განახორციელა. მაუწყებლობის შესახებ კანონის და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, თითეული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი ვალდებულია, რომ სარედაქციო გაშუქების შინაარსთან დაკავშირებული

---

41 ამ არჩევნებისთვის, ცესკომ 11 კვალიფიციური პარტია გამოავლინა, რომელთაგან 9 არჩევნებში მონაწილეობს.

42 საარჩევნო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რამდენი დრო უნდა იქნას გამოყოფილი არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის.

43 საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ მომზადებული რეკლამის შინაარსი საარჩევნო კოდექსის 45.3-ე მუხლს არღვევს. 24 სექტემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, შემდეგ კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, ცესკოს დაჟინებით მოსთხოვეს, რომ შესაბამისი ქმედება განეხორციელებინა ამ საქმესთან დაკავშირებით და 3 ოქტომბერს ცესკომ გადაწყვიტა, რომ ადმინისტრაციული ზომა მიეღო საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ. საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ წარდგენილი საჩივრის საპასუხოდ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 30 სექტემბერს გადაწყვიტა, რომ ადმინისტრაციული ზომა მიეღო *რუსთავი 2-ის* სინააღმდეგ, საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევისთვის, როცა არხმა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის რეკლამა ეთერიდან მოხსნა შესაბამის პარტიასთან კონსულტაციის გამართვის გარეშე.

44 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ 8 ივნისიდან მოყოლებული, მათ 53 სატელევიზიო არხის, 30 რადიოსადგურის და 31 ადგილობრივი საბიუჯეტო გაზეთის მონიტორინგი განახორციელეს.

საჩივრები განიხილოს.[45] საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ოფიციალური საჩივარი მთავარი მაუწყებლების არც ერთ თვითმარეგულირებელ ორგანოს არ მიუღია.[46]

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ მაუწყებლები საარჩევნო სუბიექტებს სხვადასხვა ფორმატში ფართოდ აშუქებდნენ.[47] მონიტორინგში ჩართული ყველა მაუწყებელი, ასევე ადგილობრივი მაუწყებლები კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს დებატებსა და თოქშოუებში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ. ხშირად მკაფიოდ არ იყო გამიჯნული ახალი ამბების გამოშვებების და საინფორმაციო პროგრამების ფორმატები, სადაც იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტებს ახალი ამბები გაეშუქებინათ, სტუმრები სიახლეებს განიხილავდნენ და არ აწვდიდნენ უფრო დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა პარტიების კამპანიის ღონისძიებების შესახებ. ზოგადად, გაშუქების დროს მედია უფრო მეტ ყურადღებას ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქცევდა, პოლიტიკური დისკურსი კი მუდმივი დაპირისპირებებით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე საარჩევნო პროგრამების წარდგენით.

მონიტორინგში ჩართულ ახალი ამბების გამოშვებებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა ქართულ ოცნებას 25, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი 18 პროცენტი დაუთმო, უმეტესწილად ნეიტრალური ტონით. სხვა შვიდი პარტიის შემთხვევაში, თითეულს 2-დან 6 პროცენტამდე დაეთმო. *საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა* პრემიერ მინისტრი და მთავრობა ფართოდ გააშუქა და შესაბამისად მათ დროის 7 და 18 პროცენტი დაუთმო, ძირითადად ნეიტრალური ან დადებით ტონით, რაც დამატებით წარმოჩენას უზრუნველყოფდა, რასაც მმართველი პარტიისთვის უპირატესობის მინიჭება შეეძლო. ამას გარდა, 8 სექტემბერს, *საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა* და სამმა კერძო ტელეარხმა ერთსაათიანი პირდაპირი ჩართვა გააკეთა პრაიმტაიმის დროს კამპანიის ღონისძიებიდან, სადაც ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა იქნა წარდგენილი.[48]

---

45 თუმცა, 8 სექტემბერს სამმა სამოქალაქო საზოგადოების სადამკვირვებლო ორგანიზაციამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ყურადღება მიმართა პროგრამაზე „შეხვედრა რეგიონულ მედიასთან“, რომელსაც ყოფილი პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უძღვებოდა ტელეკომპანია *ჯიდიესზე* ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს, როგორც უსამართლო და დაუბალანსებელი გაშუქების შესაძლო შემთხვევა.

46 12 სექტემბერს, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წერილი გაუგზავნა ტელეკომპანია *იმედს* და სთხოვა, რომ 21:00-დან, შეეთავაზებინა ერთსაათიანი პირდაპირი გაშუქება თავისი საარჩევნო პროგრამის გასაშუქებლად, როგორც ეს ტელეკომპანია *იმედმა* გააკეთა ქართული ოცნებისთვის 8 სექტემბერს. არხმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 27 სექტემბერს, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საჩივარი შეიტანა, რადგანაც მას ტელეკომპანია *იმედმა* თანაბარ ხელმისაწვდომობაზე უარი განუცხადა. 8 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან არანაირი საჯარო რეაგირება არ ყოფილა.

47 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ პრაიმტაიმის დროს (18.00-24.00) გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი მედიამონიტორინგი დაიწყო ექვს მაუწყებელზე (*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, ჯიდიესი და ტვ პირველი*) 5 სექტემბერს.

48 ქართული ოცნების კამპანიის ღონისძიების ტელევიზიით გადაცემის შემდეგ, *საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა* ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს შესთავაზა ერთი საათი პრაიმტაიმის დროს, რათა პირდაპირ ეთერში თავიანთი საარჩევნო პროგრამა წარმოედგინათ. თუმცა,

რუსთავი 2-მა ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ახალი ამბების გამოშვებაში მსგავსი დრო დაუთმო, შესაბამისად დროის 26 და 23 პროცენტი, ნეიტრალური ტონით, სამი სხვა პარტიაც აქტიურად გაშუქდა: სახელმწიფო ხალხისთვის – 11 პროცენტი, რესპუბლიკური პარტია – 8 პროცენტი და თავისუფალი დემოკრატები – 8 პროცენტი. თუმცა, *რუსთავი 2-მა* უფრო უარყოფითად გააშუქა მმართველი პარტია ახალი ამბების და გასართობ პროგრამებში. *მაესტრომ და ჯიდიესმა* მიკერძოებულობა გამოიჩინეს ქართული ოცნების მიმართ, რამდენადაც მათი ახალი ამბების გაშუქებისას მმართველ პარტიას, შესაბამისად, დროის 26, 36 პროცენტი დაუთმეს, უმეტესწილად ნეიტრალური ან დადებითი ტონით.[49] *იმედმა* ახალი ამბების გამოშვების 32 და 33 პროცენტი დაუთმო ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, შესაბამისად. კამპანიის ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, აღნიშნულმა არხებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებას საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს, რაც დაკავშირებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტარის მანქანის აფეთქებასთან, რამაც პარტიებს შორის დროის საერთო განაწილებაზე ზეგავლენა მოახდინა. *მაესტრომ* და *ჯიდიესმა* ასევე აქტიურად გააშუქეს პრემიერ მინისტრი და მთავრობა და მათ, ერთად აღებული, 18-დან 20 პროცენტამდე დრო დაუთმეს. ახალი ამბების და საინფორმაციო გამოშვებებში, განსაკუთრებით კი კამპანიის ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ისინი წინა მთავრობასთან დაკავშირებულ სიუჟეტებს უშვებდნენ, სადაც ხშირად უარყოფით ტონს იყენებდნენ. *ტვ პირველმაც* ახალი ამბების გაშუქებისას უმეტესი დრო, 24 პროცენტი მმართველ პარტიას დაუთმო, ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 18 პროცენტი მიიღო.

საჩივრები და სარჩელები

საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის დავის მოგვარების დროულ პროცესს ადგენს, სადაც ერთი ან ორი დღე არის გამოყოფილი გასაჩივრებისა და განხილვისთვის. პარტიების და ბლოკების წარმომადგენლებს, კანდიდატებს და რეგისტრირებულ დამკვირვებლებს უფლება აქვთ, რომ საარჩევნო პროცესის ნებისმიერი ასპექტი გაასაჩივრონ. ამომრჩევლებს საჩივრის წარდგენის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ ისინი ამომრჩეველთა სიაში არ იქნებიან შეყვანილნი, რაც ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 5.10-ე პუნქტს ეწინააღმდეგება.[50]

საარჩევნო სუბიექტებს ჩაწერისა და პირდაპირ ეთერში გადაცემის გაშვების ხარჯების დაფარვა მოსთხოვეს, რის შედეგადაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე წვდომა არათანაბარი აღმოჩნდა. პრაიმტაიმის ამ შესაძლებლობით მხოლოდ თავისუფალმა დემოკრატებმა ისარგებლეს. 8 ოქტომბერს ქართული ოცნების კამპანიის ერთსაათიანი პირდაპირი ჩართვა კიდევ სამმა ტელევიზიამ განახორციელა: *იმედი, მაესტრო და ჯიდიესი.*

49 ტელეკომპანია *ჯიდიესის* მფლობელია ბერა ივანიშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ვაჟია.

50 ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 5.10 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „ყველას უნდა ჰქონდეს ეფექტური რეაგირების საშუალება ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიმართ, რათა დაცული იქნას ფუნდამენტური უფლებები და უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანობა“. მოქალაქეების მიერ წარდგენილი სულ მცირე, სამი საჩივარი განხილვის გარეშე დარჩა იმ საფუძვლზე, რომ მოქალაქეებს საჩივრის წარდგენის უფლება არ აქვთ. ასევე იხილეთ „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ პუნქტი II.3.3.3.f, სადაც აღნიშნულია, რომ „ოლქში რეგისტირებულ ყველა კანდიდატს და ყველა ამომრჩეველს გასაჩივრების უფლება უნდა ჰქონდეს. არჩევნების შედეგებთან

საარჩევნო დავების განხილვის სისტემა შესაძლებელს ხდის სარჩელის შეტანას პროკურატურაში, საქართველოსთვის კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. მისი კომპლექსურობის გამო, პროცესებში ჩართული მხარეებისთვის არ არის ნათელი, თუ რომელი გზა არის შესაფერისი საჩივრების შეტანისთვის და პრაქტიკულად ისე ხდება, რომ ისინი რამდენიმე ორგანოში ერთდროულად შეაქვთ, რაც ასევე დავის განმხილველი უწყებების მიმართ ნდობის ნაკლებობით არის გამოწვეული.

სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაა მინიმუმ 100 ლარი (დაახლოებით 38 ევრო) პირველ ინსტანციაში, ხოლო არანაკლებ 150 ლარისა (დაახლოებით 57 ევრო) - აპელაციაში. კანონი მოსამართლეებს უფლებას აძლევს, რომ თანხის გადახდა გადაავადონ, ან მოსარჩელე სასამართლოს ხარჯების გადახდისგან გაათავისუფლონ, განსაკუთრებულ შემთხვევებში. იმის მიუხედავად, რომ არსებობს საარჩევნო სარჩელების მიღების პრაქტიკა და გადახდის გადავადება მანამდე, ვიდრე მოსმენა არ გაიმართება, ცხადი რეგულაციების არარსებობა სასამართლოზე ხელმისაწვდომობას პოტენციურად ზღუდავს და ამ საშუალების ეფექტურობას კითხვის ქვეშ აყენებს. არჩევნებში მონაწილე ბევრმა მხარემ აღნიშნა, რომ საჭიროა სასამართლო სისტემის რეფორმა გაგრძელდეს.

არჩევნების პირველად გამოცხადების შემდეგ, სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 187 საჩივარი შევიდა. ცესკო თავის სამართლებრივ ვალდებულებას ასრულებდა და ყველა საჩივარს, ასევე ცესკოს და სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას თავის ვებგვერდზე ერთ დღეში ათავსებდა. საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივრები და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც ასევე ცესკოს ვებგვერდზე ქვეყნდებოდა იმის მიუხედავად, რომ ამის სამართლებრივი მოთხოვნა არ არსებობდა. საარჩევნო კომისიების და სასამართლოების მიერ საჩივრები განხილვის პროცესი გამჭვირვალედ, ღია სხდომებზე მიმდინარეობდა და პარტიებს ამგვარი მოსმენების დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებოდათ. ზოგადად, გადაწყვეტილებები კარგად დასაბუთებული და მოტივირებული იყო.

187 საჩივრიდან, 98 შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიებში, 55 - ცესკოში, 16 - თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 10 - სააპელაციო სასამართლოში. კამპანიის წესების ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევებს შორის იყო არაუფლებამოსილი პირების კამპანიაში მონაწილეობა (35 შემთხვევა), ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენება (26 საქმე), ან ის საჩივრები, რაც ადმინისტრაციული ოქმების წარდგენას მოითხოვდა სავარაუდო საარჩევნო დარღვევებისთვის (32 საქმე) და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის კანონიერებას კითხვის ქვეშ აყენებდა (7 საქმე). 16 საჩივარი სრულად, ხოლო ოთხი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

არჩევნებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დარღვევების აღრიცხვის ვალდებულება საარჩევნო ადმინისტრაციას, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ

დაკავშირებით, ამომრჩევლების მხრიდან გასაჩივრებისთვის შესაძლებელია გონივრული კვორუმის დადგენა“.

კომისიას და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აკისრიათ და მათ ორ თვემდე ვადა აქვთ შესაბამისი რეაგირებისათვის. ჯერჯერობით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ინიცირებულია შვიდი ადმინისტრაციული საქმე, ხოლო 32 საქმე მსვლელობას ელოდება. საარჩევნო დარღვევებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეაგირებისთვის დაჩქარებული ვადების ნაკლებობის და გამოძიების ჩასატარებლად არასაკმარისი რესურსების გამო ბევრი დარღვევა რეაგირების გარეშე დარჩა წინასაარჩევნო პერიოდში, რამაც საარჩევნო უფლებების ეფექტიანად დაცვა კითხვის ქვეშ დააყენა. პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის 74 საქმეზე გამოძიება დაიწყო.[51]

პოტენციური საარჩევნო დარღვევების და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების საკითხების განსახილველად უწყებათაშორისი საბჭო ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა საბჭომ ცხრა საჯარო სხდომა გამართა და 104 საჩივარი მიიღო, მაგრამ მხოლოდ ოთხი არასავალდებულო ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია გასცა. ვინაიდან საბჭო უფრო მეტად სადისკუსიო ფორუმია, ვიდრე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, ეს არაეფექტიანი იყო კონკრეტული შემთხვევების თაობაზე შეტანილ საჩივრებზე რეაგირების თვალსაზრისით.[52] თუმცა, უწყებათაშორისი საბჭოს პლატფორმას პარტიები და მოქალაქე დამკვირვებლები აქტიურად იყენებდნენ, როგორც თავიანთი მოსაზრებების გასაჯაროების მექანიზმს და თავიანთი საჩივრების შესაბამის უწყებებთან გადამისამართების საშუალებას.

ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი).[53] კონსტიტუცია ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე დისკრიმინაციას კრძალავს; ეროვნული უმცირესობები სრული პოლიტიკური უფლებებით სარგებლობენ, რაშიც შედის თავიანთი მშობლიური ენის გამოყენების უფლება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[54] თუმცა, ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა შეზღუდულია.

რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეიყვანა პარტიულ სიებში, თუმცა, არჩევად პოზიციებზე მხოლოდ რამდენიმე დაასახელა[55] და

---

51 რომელთა შორის 28 არის ძალადობრივი ქმედება, ხოლო 26 - საარჩევნო სააგიტაციო მასალების დაზიანება.

52 ამას გარდა, საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის დარღვევით, უწყებათაშორისმა საბჭომ მოსარჩელეებს დროული წერილობითი პასუხი არ გასცა. კოდექსი ითვალისწინებს ყველა ორგანოს ვალდებულებას, რომ წერილობით განცხადებებზე პასუხი გასცენ 10 დღის, ან, განსაკუთრებული შემთხვევების დროს - ერთი თვის ვადაში.

53 შემდეგ მოდიან რუსები (0.7), ოსები (0.4), იეზიდები (0.3), უკრაინელები (0.2), ქისტები (0.2), ბერძნები (0.1), ასირიელები (0.1) და სხვა ჯგუფები (0.4).

54 საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ (FCNM). საქართველომ ასევე ხელი მოაწერა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიას“, თუმცა, მისი რატიფიცირება არ მოუხდენია.

55 პარტიულ სიებში: ქართული ოცნება - 155 კანდიდატიდან 10; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 200 კანდიდატიდან 13; სახელმწიფო ხალხისთვის - 197 კანდიდატიდან 20; თავისუფალი დემოკრატები - 200 კანდიდატიდან 10; ლეიბორისტული პარტია - 167 კანდიდატიდან 8; საქართველოს პატრიოტთა

მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.[56] საარჩევნო კოდექსში ბოლოს შეტანილი ცვლილებების შედეგად, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან გამართულ შეხვედრებზე სხვადასხვა მხარემ შეშფოთება გამოხატა, რომ ოლქებს შორის გავლებულ ზოგიერთ ახალ საზღვარს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შეზღუდვა შეეძლო გამოეწვია, განსაკუთრებით კი ახალქალაქის და ნინოწმინდის ოლქების გაერთიანებულ ოლქში.[57]

ეროვნული უმცირესობების საკითხებს და ინტერეთნიკურ ურთიერთობებს კამპანიაში დიდი ყურადღება არ ეთმობოდა, თუმცა, ზოგიერთ კანდიდატი ხანდახან ეთნიკურობას როგორც მობილიზების ფაქტორს ისე იყენებდა.[58] პარტიები და კანდიდატები უმცირესობების ენებს აქტიურად იყენებდნენ უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. თვალსაჩინო კამპანიები წარიმართა შედარებით თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე, თუმცა, სომხურ დასახლებებში ამ მხრივ ნაკლები აქტიურობა შეინიშნებოდა. კანდიდატებს, ზოგადად, კამპანიის განხორციელება თავისუფლად შეეძლოთ უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, მაგრამ კამპანიის მიმდინარეობისას სიძულვილის ენის გამოყენების და ძალადობის რამდენიმე შემთხვევა გამვოლინდა, რაც სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების მქონე პირებს შორის ურთიერთობებზე ირიბად ზემოქმედებდა.[59] ეროვნული უმცირესობები კარგად იყვნენ წარმოდგენილნი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში სომხებით დასახლებულ

ალიანსი - 165 კანდიდატიდან 6; აღნიშნული კანდიდატებიდან სიაში მე-14 პოზიციაზე ზემოთ არც ერთი არ არის წარმოდგენილი.

56 მაჟორიტარი კანდიდატები: ქართული ოცნება 3 დასახელებული 73 კანდიდატიდან; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 5 – 72-დან; სახელმწიფო ხალხისთვის 6 – 72-დან; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 4 – 71-დან; დემოკრატიული მოძრაობა 2 -51-დან, რესპუბლიკური პარტია 2 – 28-დან, თავისუფალი დემოკრატები 1 – 64-დან; და 4 დამოუკიდებელი კანდიდატი.

57 ახალქალაქის და ნინოწმინდის ერთ ოლქად გაერთიანებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ეთნიკური სომხების წარმომადგენლობაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. ასევე, ყოფილი ახალქალაქის ოლქის რამდენიმე სოფელი, რომელიც ძირითადად სომხებით არის დასახლებული, ბორჯომი-ასპინძის ოლქს შეუერთდა, რამაც ლოგიკური გამოწვევები შეუქმნა საარჩევნო ადმინისტრაციას და კანდიდატებს, ასევე პოტენციური ზემოქმედება მოახდინა უმცირესობების წარმომადგენლობაზე. ოლქების რაოდენობა ერთით გაიზარდა ქვემო ქართლში, რომელიც უმეტესწილად აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონია, მაგრამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან გამართულ შეხვედრებზე მონაწილე მხარეებმა აღნიშნეს, რომ საზღვრების ცვლილებისთვის გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ბუნდოვანი იყო.

58 თუმცა, 19 სექტემბერს, ჟურნალისტის შეკითხვაზე აღნიშნული ქარტიის რატიფიცირების და სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების შესახებ, ქართული ოცნების დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ენის გამოყენებასთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვები არ არსებობდა, მაგრამ აღნიშნა, რომ ქართული ენის არცოდნის გამო სომხებს „ასიმილირება“ ურთულდებათ.

59 საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ფასიან სატელევიზიო რეკლამებსა და მიტინგებზე ანტითურქული განცხადებები გაკეთდა, რასაც შეეძლო ეთნიკური აზერბაიჯანელების თემი გაეღიზიანებინა. პარტია „ქართული ძალის“ წარმომადგენლები თბილისში მდებარე აღმოსავლურ კაფეებს თავს დაესხნენ. სატელევიზიო დებატები ქართველ და აზერბაიჯანელ კანდიდატს შორის ჩხუბით დასრულდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ეთნიკური მოტივებით არ იყო გამოწვეული.

ტერიტორიებზე, მაგრამ აზერბაიჯანულ დასახლებებში ისინი საუბნო საარჩევნო კომისიებში მინიმალურად, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში საერთოდ არ იყვენ წარმოდგენილნი.

ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადეკვატურად ითვალისწინებს დაკვირვებას ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მიერ. კანონმდებლობა დეტალურ დებულებებს შეიცავს დამკვირვებლების უფლებების და ვალდებულებების შესახებ და მათთვის თავისუფალ წვდომას უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე. ცესკოში დარეგისტრირებულია 111 ადგილობრივი საზოგადოებრივი და 55 საერთაშორისო ორგანიზაცია (საარჩევნო მენეჯმენტის განმახორციელებელი უცხოური ორგანოების ჩათვლით). რეგისტრაციის პროცესი ინკლუზიური იყო და პროფესიონალურად წარიმართა.

სხვადასხვა საზოგადოებრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ არჩევნებზე გრძელვადიან სადამკვირვებლო ღონისძიებები განახორციელა და ისეთ საკითხებს მიაქცია ყურადღება, როგორიცაა წინასაარჩევნო გარემოს სხვადასხვა ასპექტები, სახელდობრ, კამპანიის დაფინანსება, მედიამონიტორინგი, ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა და საარჩევნო დავების განხილვა. კენჭისყრის დღეს, სამოქალაქო ორგანიზაციების დამკვირვებლები ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში გადანაწილდნენ და პროცედურებს დააკვირდნენ, ხოლო ერთმა ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლა განახორციელა. პარტიებმა და კანდიდატებმა წარმომადგენლები დაასახელეს, რათა კენჭისყრის დღეს პროცედურებს დაკვირვებოდნენ. პროცესის ყველა ეტაპზე სამოქალაქო ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენილის ჩართულობამ არჩევნების გამჭვირვალობაში წვლილი შეიტანა.

კენჭისყრის დღე

კენჭისყრის დღე, ზოგადად, მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ დღის განმავლობაში დაძაბულობამ მოიმატა და საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ რამდენიმე ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა. მაშინ, როცა კენჭისყრის საერთო ჯამში დადებითად შეფასდა, ხმების დათვლა გაცილებით უარესად წარიმართა, პროცედურული პრობლემების და მომატებული დაძაბულობის გამო. სამოქალაქო დამკვირვებლები და პარტიის წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ, მაგრამ კომისიების მუშაობაში ხშირად ერეოდნენ.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების დამკვირვებლები 162 საარჩევნო უბანს დააკვირდნენ. ამათგან, გახსნის პროცესი დადებითად შეფასდა 153 უბანზე. 80 საარჩევნო უბანი მცირედი დაგვიანებით გაიხსნა, მაგრამ ამას პროცეზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ზოგადად, პროცედურები დაცული იყო, მაგრამ გარკვეული დარღვევებიც აღინიშნა: საუბნო საარჩევნო კომისიებმა არ გამოაცხადეს და სათანადოდ არ დააფიქსირეს ინფორმაცია ამომრჩევლების და ბიულეტენების რაოდენობის თაობაზე შემთხვევების 10 და 13 პროცენტში, შესაბამისად. სამოქალაქო დამკვირვებლები და პარტიის

წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ერეოდნენ, ან მათ მითითებებს აძლევდნენ იმ უბნების 12 პროცენტში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობდა.

კენჭისყრა დადებითად შეფასდა იმ საარჩევნო უბნების 97 პროცენტში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობდა. რამდენიმე შემთხვევაში, სადაც პროცესი უარყოფითად შეფასდა, ეს ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში არაუფლებამოსილი პირები ჩაერივნენ. სამოქალაქო დამკვირვებლები საარჩევნო უბნების 87, ხოლო პარტიების წარმომადგენლები 99 პროცენტში იმყოფებოდნენ, რამაც პროცესის გამჭვირვალობაში წვლილი შეიტანა, თუმცა ისინი იმ საუბნო საარჩევნო უბნების 6 პროცენტის მუშაობაში ერეოდნენ და მითითებებს აძლევდნენ, სადაც დაკვირვება ხორციელდებოდა. უბანზე ბევრი ხალხის ყოფნა საუბნო საარჩევნო კომისიების 7 პროცენტში დაფიქსირდა. აღინიშნა რამდენიმე სერიოზული დარღვევა, რომელთა შორისაა შემდეგი შემთხვევები: უხილავი მარკირების კვალის მქონე ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება მისცეს (2 პროცენტი), ადგილი ჰქონდა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენას (2 პროცენტი). იმ საარჩევნო უბნების თითქმის 40 პროცენტი, სადაც დაკვირვება მიმდინარეობდა, ფიზიკურად არ იყო ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის; თუმცა, ამგვარი ხელმისაწვდომობა შედარებით უკეთესი იყო იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც ბარიერების გარეშე შესვლა იყო გამოცხადებული.

ხმების დათვლის პროცესი გაცილებით უარესად შეფასდა - უბნების 31 პროცენტში ხმის დათვლა ცუდად, ან ძალიან ცუდად შეფასდა. ხმების დათვლის უარყოფითი შეფასებები უფრო მეტად საუბნო სარჩევნო კომისიების მხრიდან პროცედურების დაუცველობით იყო გამოწვეული, ვიდრე განზრახ გაყალბებით: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა არ გააბათილეს გამოუყენებელი ბიულეტენები მანამდე, ვიდრე ხმების დათვლას დაიწყებდნენ (27 პროცენტი), სათანადოდ არ ჩაალაგეს გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენები (20 პროცენტი), არ შეურიეს ბიულეტენები გადასატანი და უბანში არსებული საარჩევნო ყუთებიდან (9 პროცენტი), ძალაში მყოფი და ძალადაკარგული ბიულეტენები თანმიმდევრული და გონივრული გზით არ განისაზღვრა (9 და 11 პროცენტის შემთხვევებში, შესაბამისად), ოქმის მონაცემები არ იქნა სათანადოდ გადამოწმებული დათვლის შემდეგ (11 პროცენტი). დაკვირვებული შემთხვევების ნახევარში, ხმების დათვლაში არაუფლებამოსილი პირები მონაწილეობდნენ. საარჩევნო უბნების მახლობლად დაძაბულობა ან არეულობა დაფიქსირდა შემთხვევების დაახლოებით 13 პროცენტში. ადამიანები პროცესის ხელის შეშლას ან ჩაშლას, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაშინებას ცდილობდნენ, რაც ასევე შემთხვევების 5 პროცენტში იქნა გამოვლენილი დაკვირვების შედეგად.

სხვა სერიოზული დარღვევები, რომლებმაც დათვლის პროცესის მთლიანობის და გამჭვირვალობის შეფასებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, შემდეგი სახისაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ხელი ოქმებს შევსებამდე მოაწერეს (11 პროცენტი) და გაბათილებული ბიულეტენების, ასევე თითოეულ საარჩევნო სუბიექტზე ბიულეტენების რაოდენობა სათანადოდ არ დათვალეს (16 პროცენტი). საუბნო საარჩევნო კომისიების 7-ზე მეტ პროცენტში, დამკვირვებლები ხმის დათვლის პროცესს კარგად ვერ ხედავდნენ.

არჩევნების უსაფრთხოების საკთხი კენჭისყრის დასასრულისთვის წამოიჭრა ხმის დათვლის დროს, როცა ძალადობრივმა დაპირისპირებამ ამ პროცესს ხელი შეუშალა ოთხ საარჩევნო უბანზე.[60] ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში საჭირო გახდა ხმის დათვლის შეჩერება მანამდე, ვიდრე არ აღდგა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების და ამომრჩევლების უსაფრთხოება. ორ საარჩევნო უბანზე ძალადობრივი თავდასხმის გამო განადგურდა საარჩევნო მასალები, დაშავდნენ მოქალაქეები და საერთაშორისო დამკვირვებლები, დათვლის პროცესი შეჩერდა და, საბოლოო ჯამში, შედეგები გაუქმდა.

დაჯამება უფრო დადებითად შეფასდა. დამკვირვებლები 62 საოლქო საარჩევნო კომისიას აკვირდებოდნენ, რომელთაგან 56 კომისიაში პროცესი კარგად, ან ძალიან კარგად შეფასდა. დანარჩენ საოლქო საარჩევნო კომისიებში პროცედურები არ იყო დაცული (6 შემთხვევა) და შეიზღუდა დაკვირვება (5 შემთხვევა). მთავარი გამოვლენილი დარღვევა იყო არაადეკვატური საშუალებები საარჩევნო მასალების მისაღებად (17 საოლქო საარჩევნო კომისია, სადაც დაკვირვება ხდებოდა), რომელთაგან 11 შემთხვევაში ადგილზე ძალიან ბევრი ხალხი იმყოფებოდა, რამაც დაჯამების პროცეზე უარყოფითად იმოქმედა. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები სწორად და ბოლომდე არ იყო შევსებული, როცა ისინი საოლქო საარჩევნო კომისიაში მოიტანეს 8 შემთხვევაში.

ცესკომ ოლქების მიხედვით წინასწარი შედეგების გამოცხადება და გამოქვეყნება, საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებთან ერთად, დილის 1:00 საათიდან დაიწყო, კენჭისყრის მეორე დღეს. ცესკომ განაცხადა, რომ მან მხოლოდ წინასწარი შედეგების გამოქვეყნება დაიწყო მას შემდეგ, როგორც კი წარმომადგენლობითი შერჩევა შეაგროვა. წინასწარი შედეგებით, ამომრჩეველთა აქტიურობა 51.63 პროცენტი იყო.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერი ოფიციალური დოკუმენტია. ხელმისაწვდომია არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე.

ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი

თბილისი, 2016 წლის 9 ოქტომბერი - წინამდებარე „წინასწარი მიგნებების და დასკვნების მოხსენება“ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპარლამენტის ერთობლივი ძალისხმევის შედეგს წარმოადგენს. შეფასების მიზანი იყო დაედგინა, შეესაბამებოდა თუ არა არჩევნები ეუთოს მიმართ აღებულ ვალდებულებებს, ევროპის საბჭოს სტანდარტებს, სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებს, ასევე ეროვნულ კანონმდებლობას.

იგნასიო სანჩეს ამორი ეუთოს ამჟამინდელმა თავმჯდომარემ სპეციალურ კოორდინატორად და ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად დანიშნა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას გულიელმო პიკი, ევროპის საბჭოს

[60] საუბნო საარჩევნო კომისია #48 მარნეულში, საუბნო საარჩევნო კომისია #90 ქუთაისში და საუბნო საარჩევნო კომისიები #108 და #79 ზუგდიდში.

საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას - ემანუელის ზინგერისი, ევროპარლამენტის დელეგაციას - ანა გომესი, ხოლო ნატოს დელეგაციას - პაოლო ალი ხელმძღვანელობდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ხელმძღვანელია ელჩი ალექსანდრე კელჩევსკი, რომელმაც საქმიანობა ქვეყანაში 30 აგვისტოს დაიწყო.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში მონაწილე თითოეული ინსტიტუტი არჩევნებზე საერთაშრისო დაკვირვების პრინციპების 2005 წლის დეკლარაციის დაცვით მოქმედებს. წინასწარი მიგნებების და დასკვნების წინამდებარე მოხსენება საარჩევნო პროცესის დასრულებამდეა მომზადებული. არჩევნების საბოლოო შეფასება, ნაწილობრივ, დამოკიდებული იქნება საარჩევნო პროცესის დანარჩენი ეტაპების წარმართვაზე, რაშიც შედის შედეგების დათვლა, დაჯამება და გამოცხადება, ასევე კენჭისყრის დღის შემდეგ სავარაუდოდ წარდგენილი საჩივრების ან სარჩელების განხილვა. ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის განმავლობაში სრულ საბოლოო ანგარიშს გამოსცემს, პოტენციური გაუმჯობესებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციების ჩათვლით. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ანგარიშს მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე წარადგენს ვენაში, 2017 წლის 23 თებერვალს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ანგარიშს თავისი მუდმივი კომიტეტის შეხვედრაზე წარადგენს ნიქოზიაში, 26 ნოემბერს. ევროპარლამენტი თავის ანგარიშს ევროპარლამენტის საგარეო საქმეების კომიტეტთან გამართულ ბრიფინგზე წარადგენს ბრიუსელში, 11 ოქტომბერს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ანგარიშს თავის წლიურ სესიაზე წაადგენს სტამბოლში, 18-21 ნოემბერს.

ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია წარმოდეგენილია 14 ექსპერტით დედაქალაქში და 26 გრძელვადიანი დამკვირვებლით, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან გადანაწილებულნი. კენჭისყრის დღეს, 420 დამკვირვებელი 39 ქვეყნიდან იქნა მივლენილი, რომელთა შორისაა 324 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიდან, ასევე 37-წევრიანი დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეიდან, 28-წევრიანი დელეგაცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან, 17-წევრიანი დელეგაცია ნატოდან, და 13-წევრიანი დელეგაცია ევროპარლამენტიდან. გახსნის პროცესს 162 საარჩევნო უბანზე, ხოლო კენჭისყრას - 1,520 საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხმების დათვლაზე დაკვირვება 147 საარჩევნო უბანზე განხორციელდა, დაჯამებას კი 58 საოლქო საარჩევნო უბანში დააკვირდნენ.

დამკვირვებლებს სურთ მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებისთვის. ისინი ასევე თანამშრომლობისთვის მადლობას უხდიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ შემდეგ პირებს დაუკავშირდეთ:

ელჩი ალექსანდრე კელჩევსკი, ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, თბილისში (+995599628722);
ტომას რაიმერი, ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სპიკერი (+48 609 522 266), ან ოლექსიი ლიჩკოვახი, ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მრჩეველი არჩევნების საკითხებში, ვარშავაში (+48 601 820 410);
ანდრეას ბეიკერი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის არჩევნების დირექტორი (+45 601 08 126) ან რიჩარდ სოლაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკაციების დირექტორი (+45 601 08 380);
ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკაციის განყოფილება, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (+33 388 41 31 93);
კარლ მინერი, ევროპარლამენტი (+995 595 04 08 19);
ანდრიუს ავიზიუსი, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (+32 2 504 8141).

ეუთოს/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
ნუცუბიძე, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა #16, 0183, თბილისი
ტელ: +995 32 224 0648
ელფოსტა: office@odihr.ge
ვებგვერდი: http://www.osce.org/odihr/elections/georgia/261521;